სასტუმროს საშუალო ფასები საქართველოში და სასტუმროს ფასების ინდექსი

სექტემბერი 2019

2019 წლის სექტემბერში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[1] **145 ლარი** შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა - **227 ლარი**. საოჯახო ტიპის სასტუმროების[2] საშუალო ფასმა სექტემბერში **73 ლარი** შეადგინა.

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა სექტემბერში **477 ლარი** შეადგინა. თბილისში, ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 598 ლარი შეადგინა, აჭარაში - 440 ლარი, კახეთში - 390, ხოლო სამცხე-ჯავახეთში - 380.



გრაფიკი 1: მოცემულია 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით. 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში.

სასტუმროს ფასების ინდექსი

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[3] 2019 წლის სექტემბერში, 2019 წლის აგვისტოსთან შედარებით, 3.5%-ით შემცირდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 3.8%-ით შემცირდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 4.4%-ით შემცირდა.

2019 წლის სექტემბერში, 2018 წლის სექტემბერთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 0.5%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 1.6%-ით შემცირდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 4.9%-ით გაიზარდა.

რეგიონი	სასტუმრო		3*, 4*, 5*		საოჯახო	
	2019 სექ/ 2019 აგვ	2019 სექ/ 2018 სექ	2019 სექ/ 2019 აგვ	2019 სექ/ 2018 სექ	2019 სექ/ 2019 აგვ	2019 სექ/ 2018 სექ
ქვემო ქართლი	-14.4%	-15.2%	-20.8%	-13.1%	-3.9%	-18.4%
შიდა ქართლი	-9.6%	2.1%			-9.6%	2.1%
გურია	-5.6%	15.5%	-6.3%	45.6%	-5.1%	0.5%
მცხეთა-მთიანეთი	-4.0%	14.9%	-3.0%	19.7%	-5.1%	10.0%
აჭარა	-3.8%	14.6%	-4.2%	13.6%	-3.2%	16.3%
თბილისი	-3.6%	-8.6%	-3.1%	-11.1%	-5.1%	-0.3%
სამცხე-ჯავახეთი	-3.3%	1.2%	-1.8%	-2.1%	-4.3%	3.4%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	-2.5%	14.1%	-5.9%	-10.8%	-1.6%	21.7%
იმერეთი	-2.4%	-0.3%	-1.1%	1.7%	-3.2%	-1.4%
კახეთი	-0.8%	3.0%	-2.7%	-5.0%	-0.3%	5.2%
რაჭა	0.4%	17.8%			0.4%	17.8%
სულ ფასების % ცვლილება	-3.5%	0.5%	-3.8%	-1.6%	-4.4%	4.9%

ცხრილი 1: ფასების % ცვლილება 2019 წლის სექტემბერში, 2019 წლის აგვისტოს ფასებთან შედარებით და 2018 წლის სექტემბერის ფასებთან შედარებით

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა ფემთნვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.

2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.

3 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით.